№ 75. 12 აპრილი, სამშაბათი. 1866—1883 12 აპრილი, სამშაბათი. № 75.

რედაქცია

გოლოგანის პროსპექტზე თვ. ივ. მუხრანსკის სახლში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. კარეშე მცხოვრებთა იდრეს: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

ერთ. წლისა. . .	9 მან.	სამის თვისა. . .	3 მან.
ექვსის თვისა. . .	5 მან.	ერთი თვისა. . .	1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასზე ერთი კაბეკი, ასოებითვრცელით ასზე სამგზის კაბეკი, ნაკლებ-ნაკლებ ერთ სტრიქონზე რვა კაბეკი.

თუ ხელშეკრულება მოითხოვს, რედაქტორ-გამომცემელს შეეძლოს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქტორ-ფოსტით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეა ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ვირველის აპრილიდამ ამ 1883 წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს გაგზავნით 7 (შვიდი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—კალავინის პროსპექტზე, თ. ივ. ჯ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში—ლევ. შჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ტელეგრამა

(„ნოვოეს ვრემიას“ სატელეგრაფო ინფორმაციიდან)

რუსეთიდამ

9 აპრილს

პეტერბურგი. უმაღლესი სახლობა ოთხის კვირის განმავლობაში იგლოგებს დიდის მთავრისას ტერეზია შეტრეს ასულის, ლეიხტენბერგის ჰერცოგინას გადატვალებას. გუშინ მათის უდიდებულესობისა და სიმშვერატორო გვარეულობის დასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

„Новое Время“ იწერება, რომ სახელმწიფო რჩევაში წარუდგენიათ განჩინება კომისიისა, რომელიც არჩევდა კავკასიის ტრანზიტის საქმეს; კომისიის უმთავრესობა იმ აზრისაა, რომ უეჭველად ტრანზიტი საბამბო ნაწარმოებებზე, მოესპოს უპირატესობა ოსმალეთის მანუფაქტურულ წარმოებათა და სატრანზიტო შაქრისათვის შემოღებულ იქმნეს საიმპერიო ტარიფი; კომისიის წინადადებაა, რომ შაქრის ქარხნები, რომელნიც უნდა გაიხსნან კავკასიაში და თურქისტანში, პირველს ათს წელს განთავისუფლებულ იქმნენ აქციზისაგან; ამას გარდა მოსკოვის მწარმოებელნი—მოვაჭრენი ითხოვენ, თუ ვინიცობაა ტრანზიტი დარჩა, შემოტანილ საქონელზე საერთო წესისა გვარად დაიდვას გარდასახადი.

ნოვოჩერკასი. დონის აზნაურობამ დაამზადა მეტად მხატვრული ბლიუდო ხელმწიფისათვის ბურ-მარიოლის მისართმევად გვირგვინის-კურთხევაზედ.

ყაზახებმა შესწირეს მვირ-ფასოვანი სატი ეკკლესიისათვის, რომელიც შენდება იმ ადგილას, სადაც რუსის ხელმწიფე სლექსანდრე II მოჰკვლეს.

10 აპრილს

პეტერბურგი. ხვალ ჰერცოგინა ლიხტენბერგისას ბალტის რკინის გზით წასვენებენ ტროიცკო-სერგიევის უდაბნოში დასამარხავად.

მათის უდიდებულესობის საკუთარს სამწერლოსთან სტატს-სეკრეტარის ტანეევის თავს-მეჯდომარეობით შესდგა მუდმივი კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ხოლმე საჩუქრების გატანის საქმე საქველ-მოქმედო საზოგადო დაწესებულებათათვის.

სამზღვარ გარეთის შესპორტებზე ბაასი შემოდგომამდე გადასდო სახელმწიფო რჩევამ.

სამზღვარ-გარეთიდამ

9 აპრილს

ლონდონი. საზოგადო პალატის ერთმა წევრმა მოითხოვა საბუთები რუსის სარგებლობისა შუა-აზიაში, მაგრამ გრანვილმა განაცხადა, რომ საჭიროდ არ რაცხს ამ საბუთების წარდგენას.

კვებეკ. ფენიებმა ტეცხლი მისცეს პარლამენტის სადგომს, რომელიც ერთიანად გადაწვა.

დღიური

ქვირა საღამოს, „კონკა“ დაეტაკა ერთ ფაეტონს მიხაილის ქუჩაზე და შუაზე გაწყვიტა. ფაეტონში ისხდენ ერთი მოხუცებული დედა-კაცი, პატარა ბავშვი და ერთიც ვაჟ-კაცი. ბავში და ვაჟკაცი გადარჩენ, მაგრამ დედაკაცი საცოდავად გახადა. მარცხენა კედარო თავიდამ დაწყებული მუხლებამდის მიულეწა თელებმა და ცხენებმა. ამბობენ არ მორჩებაო.

ყოველ კვირა დღეობით აუარებელი ხალხი მიაწყდება ხოლმე მუშტაიდს „კონკით“ და ფაეტონებით, და გუშინ ხომ მთელი ქალაქი დაიძრა, რადგან ბლდანელის და ლოლაძის ჭიდაობა იყო დანიშნული, ისეთი მოძრაობა იყო ხალხისა, ცხენების, ფაეტონების და „კონკების“, რომ ძალიან სიფრთხილით უნდა ყოფილიყვნენ ყველანი.

ზემო მოყვანილი უბედური შემთხვევის მიზეზი როგორც მეფაეტონეები—ისრე ცხენის-რკინის გზის მმართველობაც არის: ისრე დააქროლებენ ფაეტონებს და „კონქებს“ თითქოს წინ არაფითარი დაბრკოლება არა ხვდებათო.

მიგვიქცევია ყურადღება, ვისიც ჯერარს, რომ აღეკრძალოსთ მათ ჭენება უმეტესად მაშინ, როდესაც ქუჩებზე ესეთი დიდძალი ხალხი მიმოველის.

* * *

თავადის ძაიხოსრო ბელოვანისაგან მივიღეთ შემდეგი წერილი:

„ბულითადი მონაწილე ახლად შემთხვეულ საერთო მწუხარებაში მოგმართავ თქვენი გაზეთით მომცეთ საშვალება, გამოუცხადო ჩემი ულრმესი მწუხარება, და თანაგრძნობა ახლად მიცვალებულის ჩვენი დიდებული პოეტის თავ. ბრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის სახლობასა და ნათესავებთ, იმ საერთო უბედურების შესახებ რომელიც მოგვეველინა ოცდა-ერთს მარტს, რომელმანაც არა მარტო პატივცემული თავიდის ოჯახი და ნათესაობა აატირა და მოიცვა გლოვით, არამედ მთელი ჩვენი ქართველობა*). რადგანაც ამ უბედურმა მოვლენამ წარსტაცა საუკუნოდ ჩვენს ქვეყანას ერთი თავის საუკეთესო მომქმედი შვილი, შვილი საკადრისი მემკვიდრე თავის სახელოვანი წინაპრებისა, შვილი შეუპოვარი, დაუღალავი მოღვაწე შავბედითს დროში თავის დედა ქვეყნის დაცვისა და შემაგრებისათვის. დაუნდობელმა სოფელმა გაუქრო ჩვენს ქვეყანას ესეთი სახელოვანი შვილი. აღარა გვყავს დღეს ჩვენი დიდებული მოძღვარი, ჩვენი საყვარელი პოეტი, პოეტი, რომელმან სახელოვანად განვლო დღენი ცხოვრებისანი, რომელმან სანატრელად და საქებურად ილვაწა ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზედ, რომელმან თავის დიდებულის ნიჭით, სამაგალითო სკოლის ძლიერებით და მიუსუსტებელის ენერგიით არა ერთ გზის ისახელა თავი, და ასახელა მთელი ქართველობა. აღარ გვყავს დღეს ჩვენი უხუცესი და უნიჭიერესი პოეტი, ჩვენთვის დაუღალავი მშრომელი—მამა, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავალობაში თავის სამაგალითო გენიით სავსე ლექსებით დაგვმღეროდა თავზედ, რომელიც გვამხნევებდა, მომავლის იმედს გვინერგავდა, გვაფხიზლებდა, თვალს გვიხელდა გრძნობას გვიმახვილებდა, მამულის სიყვარულს გვიღვიებდა... იგი წაგვერთო და შთაგვყარა საუკუნო გოდებაში, თვალი აგვიტირა, გული განგვიგმირა, გრძნობა დაგვიმდაბლა და სხეული ძლიერებისა მოგვიკლო. მის სამშობლოში სცემს განუწყვეტლად შემაძრუწუნებელი გლოვის ზარი, დედამიწამ გაალო თავის, კაცის ხორცითა და ძვლებით გაუმაძღარი პირი და შთანთქა ჩვენი საყვარელი არსება ჩვენი საუკეთესო წარმომადგენელი. ჩვენ, დღეევანდელს საქართველოს შვილებს, დიდ ხანს არ ამოგვშორდება გულიდამ ის მძიმე მწუხარების ნაღველი, რომელიც ბრიგოლ ორბელიანის დაკარგვამ შთანერგა ჩვენს ბუნებაში. სახელი და დიდება ამ ღვაწლით შესოსილის ღირსოვანის მამულის-შვილისა მანამ დარჩების ჩვენს ქვეყანაში, სანამ საქართველოს მიწაზედ უკანასკნელი ერთი ქართველის ოჯახი იქნება დასადგურებული“...

* * *

ახალ-ციხიდამ გვწერენ:

„ძველი ნაწილი ქალაქის ახალციხისა დღითი-დღეზე წარმატების კვალს ცდება: ისეთი საძაგელი ქუჩები გაგვიხდა, რომ კაცს გაელა გაუჭირდება, მომეტებულად წვიმიან დღეს ტალახის გამოისობით. აბასტუმნის ქუჩა ახალციხის რომის კათოლიკეთ ეკკლესიისა და საეკკლესიო დუქნების წინ, უანგარიშო ფაეტონები, ფურგუნები და სხვა პირუტყვები განუწყვეტლად ეფლებიან ტალახში ახალ-ნაწილს ქალაქ ახალციხისას ყველა ქუჩები მშვენიერად აქვს გაჩაღებული ფანრებით და დაგებული ქვით, როგორც იქ შეუძლია დაუბრკოლებლივ კაცს გაელა ღამე, ნეტავი ისრე ჩვენ შეგვეძლოს დღე გაელა სვენს ქუჩებზედ“...

* * *

ბლდანელის და ლოლაძეს ჭიდაობა ისეთ საბაასო და საჯიბრო რამედ შეიქმნა, რომ ესრედ წოდებულ „აღმოსავლეთის საქმეს“ დაემსგავსა და ლამის სა-ბისმარკოდაც გახდა. ბუშინ ბლდანელმა დაიმკვიდრა ნამდვილი ფალავნის სახელი. ჭიდაობა იყო გამართული „იტალიის“ ბაღში, სადაც გაუმირთავთ ფიცრულით შემოფარგლული წრე და გარეშემო დასასხდომი ალაგები. ქალაქში ერთი ფაეტონიც აღარ მოიპოვებოდა და „კონკაზედ“, ანუ, როგორც აქაურმა კინტოებმა დაარქვეს, „ბუტკაზედ“ ალაგის შოვნას ეარსის აღება სჯობდა. ოთხ საათზედ „იტალიის“ ახლო მიხაილის ქუჩა ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ ნემსი აღარ ჩავარდებოდა. რაც ახლო-მახლო დიდრონი ხეები იყო, იმათ ტოტებზედ შეხვეული ფუტკრის მართველებით შეეკუნწლა ხალხი. მეექვსე საათზედ გაიმართა ფალავნებში ჩოხების არჩევაზედ ბაასი და ერთმანეთში მოციქულების გზავნა. დაუკრა ზურნამ „საჭიდაოო“ და ლომიეთ გა-

*) ამ სამწუხარო ამბავმა ძალიან გვიან მოგვწია ჩვენთან (ლეჩხუმს). დღეს სუთს აპრილს მივიღეთ ერთად რამოდენიმე ეგზემპლიარი „დროებისა“ საიდამაც შევიტყეთ ეგ სამწუხარო მოვლენა.

ქ. ბ.

მოვარდა შუა წრეში ბლდანელი. მას თან გამოჰყვა ლოლაძე, მაგრამ იმის გამოსვლაში სრული უიმედობა იხატებოდა. ბლდანელი მედგრად ეცა და ერთი თვალის დახამხამებაზედ ეს დეევეთ კაცი ზურგით დასცა მიწაზედ...

თანამედროვე გოლიათს

(პასუხად ი. გოგებაშვილს)

ბევრი გვინახავს გაზეთის ფურცლებზედ ერთი პირისაგან მეორე პირის კიცხვა, ბევრი წაგვიკითხავს პასუხი, მაგრამ ისეთი წერილი, როგორიც ჩვენ გვიძღვნა იაკობ ბოგებაშვილმა („დროება“ № 68) ამას წინად, სწორე გითხრათ, თავის დღეში არ შეგვხვედრია. ეა წერილი რაღაცა განსაკუთრებულს მოვლინებას შეადგენს მკითხველის თვალში, ისეთს მოვლინებას, რომელიც საუკუნოდ ვარდება მეხსიერების კლანჭებში და რომელიც არავითარს ძალ-დატანებას არ შეუძლიან მათგან გაანთავისუფლოს. შინაგანისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ გარეგანის მხრივ ხსენებული წერილი მეტად საუცხოოა: ზოგჯერ მალული, ზოგჯერ ცხადი ირონია, ალაგ-ალაგ პატარა იუმორი, აქა-იქ კითხვისა და გაკვირვების ნიშნები—ყოველი ისე ნათლად ჰმოწმობენ ავტორის სტილოსტიკურ ნიჭიერებას და ამტკიცებენ, რომ მას ამ გვარს საქმეში არ აკლია გამოცდილება.

თავის დროზედ ავტორი ხან ემადლიერება უსუსურს ლილიპუტს, ესე იგი სახალხო მასწავლებელს, ხან ურისხდება, ჰკიცხავს; ხან ეხუმრება, ხან საგრძნობელ სილას გააწნავს ლოყაში; ხან წინ გაუგორდება, ხან გვერდით მოუჯდება, ხან ზედ საქოჩრეზედ წამოაკუკდება ხოლმე. მაგრამ ყველაზედ შესანიშნავი იმავე ავტორის მოქმედებები, ის გახლავთ, რომ მას ძალიანა სცოდნია თურმე თავისის თავის პატივი! საზოგადოდ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ხშირად საკუთარი ჩვენი თავის ფასი არ ვიცით: დავდიგართ და ყოველ მხრივ გავიძახით: მე არა შემიძლიან-რა, არავიცირა, არა მესმის-რა, დამანახეთ, გამაგონეთ, მასწავლეთ! ვეჰო, რა გახდა ამოდენად თავის დამცირება? რა საკადრისია ჩივილი საკუთარს ნაკლულევანებაზედ? რატომ არ უნდა გვესმოდეს ჩვენი თავის ყადრი, ადგილი, რომელიც წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა ჰღირსებია ჩვენს არსებას წინაშე პატივცემულ საზოგადოებისა?.. სულ სხვა გვარად იქცევა ბ-ნი იაკობ სვიმონის-ძე ბოგებაშვილი! მას მხოლოდ მას უგრძვნია შეუდარებელნი თვისნი ღირსებანი, ძალოვნობა და, ღვთის წინაშე არც მალავს (ან რა დასამალია): სახლებ გადაკეცილი, ქუდმოგლეჯილი—თამამად გამოდის საკრიეო მოედანზედ (თუმცა საკრიეოდ არავის გამოუწვევია) და რაც ძალი და ღონე აქვს გოლიათის რიხით გაიძახის: გამოდით ვისაც გინდათ, თუნდა თითო-თითონი, თუნდა ასობით ერთად ერთად, თუ რამე გაიტანოთ, მაშინ წადით და თქვენ ცოლეურთას დაიკვეხეთ!... ის კი დავიწყებია ბ-ნს იაკობ სვიმონის-ძე ბოგებაშვილს, რომ საცა გოლიათი მოიპოვება, იქ შეიძლება დათიკოც ალმოჩნდეს... მაგრამ ეს არაფერი.

ჩვენ ვერას გზით ვერ მიმხვდარვართ, თუ რითი დავიმსახურეთ ბ-ნი ბოგებაშვილისაგან ესეთი გარდამეტებული, წრეს გადასული განრისხება? რამ აიძულა იგი, რომ ესე უწყალოდ დაგვიშინა ცხელ-ცხელი ყუმბარები, თითქო სლავიანებზედ მტარვალობა ჩვენ ჩაგვედინოს? რა შევსცოდეთ, რა მოვიქმედეთ უკანონოდ? საუბედუროდ, ამის პასუხს ბ-ნი ბოგებაშვილი გარკვევით ვერ გვაძლევს. იგი ამბობს: „რა თვისების და სუნის მიზეზი ჰბადავს ამისთანა ბავშურს შენიშვნებს და წერილებს, როგორიც არიან ბ-ნი მირიანაშვილისა და ძუთათური ბორასი, ამის ახსნას და მოხსენებას სხვა დროსათვის გადავდებთ“-ო.

თუ რა „თვისებით და სუნის მიზეზს“ გამოუძებნის ბ-ნი ბოგებაშვილი ჩვენს უბედურს შენიშვნის დაბადებას, ადვილი წარმოსადგენია იმის შემდეგ, როდესაც თვით იგივე ბოგებაშვილი საქვეყნოდ გვიქადაგებს: „თუ იცრუვებთ, ისე იცრუვეთ რომ პატარა გრძელი ფეხები ებას თქვენს სიცრუვესაო“.

თუმცა შესაძლებელია, რომ მერმე უფრო კოხტა მიზეზი გამოუძებნოს ჩვენს (ვიმეორებთ) უბედურს შენიშვნას, მაგრამ ეხლაც, ხსენებულს მის სტატიაშიაც, ერთ ალაგას, ეგონებ, ავტორის-და-უნებურად, ერთს მიზეზთაგანს (ვითომ) ვერ მოუთმენია „სამემრისოდ“ და ყურები უცქვეტია: აჰა, თუმცა მმალავენ, მაგრამ მე არ ვიმალები, ვისაც გსურსთ დაიტკბეთ ჩემის ცქერით თქვენი ძვირფასი მხედველობაო. ბ-ნი ბოგებაშვილი ამბობს: დედა-ენის და ბუნების-კარის დანაცრება! (ჰხედავთ, რომ გაკვირვების ნიშანსაც უსვამს? არქიმედი დედა მიწას უკულმა დატრიალებას უპირებდა და ჩვენ რომ თქვენი წიგნების ნაკლულევანების დასახელება განვიზრახოთ, მითომ აქ რა არის გასაკვირველი?) არა ერთი ენერგიული და ნიჭიერი პირი აღიჭურვა ამ კეთილშობილის წადილითა, „პიროვანი გაბოროტების გამო“, მაგრამ სრულიად ამაოდ ჩაიარა მათმა ტყვია-წამალმა“.

რად უხვევთ, ბ-ნო ბოგებაშვილო, საზოგადოებას თვალებს? რა პიროვანი გაბოროტება მიმიძღვის თქვენთან? სად „დედა-ენა“ და სად პიროვანი გაბოროტება? რა კავშირი უნდა იყოს ამათ შორის? ნუ თუ პიროვნულს გაბოროტებას შეუძლიან დაჰბადოს თქვენს წიგნებში ისეთი ნაკლულევანებანი, რომელი ნამდვილად სრულიად არ არიან? თქვენგან სიკეთე ჯერ არა მახსოვს-რა და სიავეც არა მინახავს-რა და მაშ რას შეეძლო აღეძრა ჩემში თქვენდამი პიროვანი გაბოროტება? ამ ცხადს ცილის წამებაში ეხედავ მხოლოდ ერთ გვარს თქვენს სისუსტეს (ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვაზე), რომელსაც ხომ არც თქვენა ჰმალავთ:

თქვენ, არ ვიცი კი რომელი ხატის ძალით, და დარწმუნებული ხართ, რომ როგორც თქვენ თქვენს წიგნებში თვალ-საჩინო ნაკლულევანებას ვერ ამჩნევთ, გარდა საუკეთესო ღირსებათა, აგრეთვე სხვანიც ამავე აზრისა და თვალის პატრონნი არიან და თუ უკანასკნელნი ოდესმე რაიმე ნაკლულევანებას ახსენებენ,—ეს უეჭველად პიროვან გაბოროტებისაგან ანუ სხვა უფრო მდაბალი მიზეზისაგან წარმოსდგება და არაოდეს კეთილის განზრახვითა. ახირებული აზრი შეგიდგენიათ, ღვთის წინაშე, უმრავლესობაზედ! ნუ თუ ყველა, ვინც თქვენს წიგნებზედ ხმას ამოიღებს, უეჭველად ზნეობითი და გონებითი დაცემულია? ნუ თუ თქვენ გარდა სხვას არვის ესმის, თუ რა დამამცირებელი და საზიზღარი თვისებაა პიროვნული მტრობა? ნუ თუ ყველას გასწყვეტია სინიდისი და აულია ხელი პატიოსნობაზედ? ნუ თუ თქვენს მეტს არავის შეუძლიან განსაზღვროს კეთილი, გონიერული სამსახური საზოგადო ინტერესებისაღმი, საზარელ ეგოისტურ მიდრეკილებისაგან? ნუ თუ მარტო თქვენა ხართ ისეთი პირი, რომელიც შვიდჯერა ზომავს და ერთხელა სჭრის? ნუ თუ განათლების განმაცხოველებელმა შუქმა მარტო თქვენს გონებაში შემოაშუქა და მოახდინა სანეტარო ცვლილება და სხვები კი წრეს გარედ დარჩნენ?

არა, ამას ვერ დავერწმუნები: ეს აზრი მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ მოინელოთ. მთელი საქართველოს აწ-მდგომი და მომავალი მარტო თქვენს საკუთარს თავზედ დაგიმყარებიათ, მარტო თქვენი თავი გიცვნიათ სამშობლოს უპირველეს ბურჯად და წინ-დაუხედავად გაიძახით: ჩემი „დედა-ენის“ მზგავსი არც ყოფილა, არც არის და არც ოდესმე იქნებაო. ამ უკანასკნელს აზრს არაოდეს არ დავეთანხმები, თუნდა ინკვიზიტორ ტორკვემადოს ხელშიაც რომ მიგვცეთ.

დედა აზრი ჩემის შენიშვნისა იყო: მოგვეცით „დედა-ენაზედ“ და „ბუნების კარზედ“ უფრო უკეთესი სახელმძღვანელოები, რომ მით ჩვენი საქმე წინ წავიყვანოთო. არც კი დამისახელებია, როგორადაც ეხლა არ ვასახელებ, წიგნების ნაკლულევანება: ეს გარემოება სახერხო დროისათვის გადავდე. რა არის ნეტა ამ სურვილში უსირცხვო, უზნეო, წინააღმდეგი? სხვა უიმისო, დარბაისელი, საზოგადო ინტერესებთა მოყვარე კაცი ამას მშვიდობიანის თვალით შეხედავდა, გულ-დაწყნარებით მოითმენდა წიგნების ნაკლულევანების დასახელებამდის და ჯეროვანი, ზრდილობიანი პასუხით მოგვეგებებოდა.

მაგრამ ვითომ აქ იხმარა ბ. იაკობ სვიმონის-ძე ბოგებაშვილმა იოტის ოდენა სულ-გრძელება? ვითომ დაწყნარებით მოგვისმინა, რა უნდა გვეთქვა? თქვენ კარ მოგეცალეთ, ეს ბ. ბოგებაშვილს ფიქრადაც არ მოსვლოდეს! იგი სცდილობს წაგვართვას ყოველ გვარი ზნეობითი და იურიდიკული ნება მის წიგნების შესახებ ბაასზედ; სცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ მირიანაშვილი ბრიყვია, რომ თუ იგი რამეს ამბობს,—ეს მხოლოდ სიბრიყვისაგან მოსდის და არა სიკეთისაგანაო; სცდილობს საზოგადოებას შთააგონოს: ნუ დაუჯერებთ მირიანაშვილს ნურაფერს, რადგანაც მაგისაგან ჭეშმარიტების თქმა ყოველად შეუძლებელია!..

მერე რა ღონის-ძიებასა ხმარობს ბ. ბოგებაშვილი თავის აზრების დასამტკიცებლად? რა გვარი არგუმენტების შემწეობით გამოჰყავს მას თავისი თამამი დასკვნანი?—ამას ნულარა მკითხავთ.

რომ უწოდებენ წვრილმანობას, ბავშობას, მოუფიქრებლობას, ჭორიკანაობას—აბა ყველა ესენი ყოველს ნაბიჯზედ მოიძებნებიან მის წერილში; მაგრამ რას ვამბობ: მოიძებნებიან-მეთქი! მთელი სტატია თავით ბოლომდის მარტო მათგან შესდგება! რომ გულითა და სულით მოინდომოთ მასში ერთად-ერთის დარბაისლური აზრის პოვნა, ვერას გზით ვერ მოახერხებთ, თუნდა დაუწყოთ მას ჩხრეკა შუადღისას, თან იყოთ შეიარაღებული იაბლოჩკინის ორმოც-დაჩვიდმეტი ახალი სისტემის ფანრებითა.

შეჯობესად ესთვლი ცალ-ცალკე ამოვართვა და ვახილო მკითხველს ყველა მშვენიერი კოკობი ვარდები იმ შვენიერ თაიგულიდამ, რომელიც ბ. ბოგებაშვილმა გვიძღვნა, რომ მით ამ ბაასს ჯეროვანი სარჩული დაედოს. ვაწუხვარ, რომ მიხდება ლაპარაკი უფერულს, კერძოობითს საგნებზედ წინაშე საზოგადოებისა, მაგრამ, აქ სრულიად დამნაშავე არა ვარ, რადგანაც უპირველესად მათ ჩვენი მოკეთე შეეხო და ჩვეულებისამებრ იძულებული ვარ მეც ენა გავანძრიო, რათა დაცულ იქმნას სინიდისი და ჭეშმარიტება.

ბ. იაკობ სვიმონის-ძე ბოგებაშვილი ამბობს:: „... პირველადვე ვიტყვით, რომ ბ. მირიანაშვილი ბევრად უკეთესად მოიქცა ძუთათურს ბორაზედ. შკანასკნელმა სასაცილო უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა, პირველმა კი მამაცურად მოაწერა მთელი თავისი სახელი და გვარი შენიშვნის ქვეშ“. ხედავთ რა მამაცობა ჩავიდინე? მე, მე ყოველად უძლურმა, უსუსურმა მირიანაშვილმა განვიზრახე ძალოვანი ბოგებაშვილის წინააღმდეგ სიტყვის გამოთქმა და, ოჰ, ღმერთო! სრული ჩემი გვარი და სახელი მოვაწერე!!! ბანა ეს ჩემის მხრივ მამაცობა არ არის? ოარიოდე ჩემისთანები რომ საქართველოს აღა-მაჰმად-ხანის ომის დროს დასწრობოდენ, აბა წარმოიდგინეთ, რა საქმეს ჩაიდენდენ?!

ბ. ბოგებაშვილი დარწმუნებულია, რომ ჩემი შენიშვნა შეერთებულის ღონით არის დაწერილი. ძაი პატიე

ჰქონია თავის თავისა: ისიც კი სჯერა, რომ მის წინააღმდეგ სიტყვის გამოთქმა თუ არ შეერთებულად, მარტო ერთ კაცს არ ძალ-უძს! ახირებულია, თქვენმა მზემ, ჯერ მამაცად მასახელებს, მერე კი ისე მამხდალებს, რომ ჩემი თავი ბრძოლის ველზედ უამხანაგოდ არ გამოჰყავს!

შემდეგ აგრძელებს: „თითქმის ყველა სახალხო მასწავლებელმა იცის და უმეტეს ნაწილმა ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამაც უწყის, რომ ჩვენ დიდ ხნის განმავლობაში ვიყავით მასწავლებელი და ხელმძღვანელი ექვს კლასიანი სასწავლებლისა...“ ბანა ჩემი აზრი ის იყო, რომ თქვენ პრაქტიკა არა ჰქონიათ მეთქი? თქვენ ჰგქონდათ, მართალია, მაგრამ ეხლა კი არა გაქვსთ. და გქონდათ იმ დროს, როდესაც მასწავლებელი სამართალს მწვავე როზგებითა სჭრიდა, როდესაც შაგირდი ისე უყურებდა მასწავლებელს, როგორც კატა ძაღლს, როდესაც შეგირდი მასწავლებელში ჰხედავდა მარტო ჯალათს, როდესაც სწავლის უპირველესს მეთოდას შიში შეადგენდა, როდესაც შეუძლებელი იყო, რომ მოსწავლე ბავშვს თავისი ნამდვილი ბუნება გულ-წრფელად ვადაეშალა მასწავლებლისთვის, როდესაც აუცილებელ პირობათა შეადგენდნენ შაგირდების მხრივ: პირ-მოთნეობა, მლიქვნელობა, ორგულობა, ღალატობა და სხ.. მას აქედ, რაც თქვენ პრაქტიკა თაროზედ დაასვენეთ —დედამიწა ოთხი ათასჯერ შემოტრიალდა თავის ღერძის გარშემო; პედაგოგიამ გიგანტური ნაბიჯები გადასდგა წინ, სულ სხვა მიმართულება მიიღო, სულ გამოიცვალა ხასიათი. სხვა არა იყოს რა, საკვეთი მარტო მუშაობის დროს ბჭყვრიალებს, მაგრამ რაკი სხვენზედ შეაგდებთ, მაშინ ეკიდება ჟანგი და ჰხრავს, რაზედაც თქვენი „დედა-ენაც“ გემოწმობს.

როგორც ვხედავ, კარგად ვერ გაგიცვნიათ მომატებულ ნაწილი თანამედროვე სახალხო მასწავლებლებისა, თორემ თავის დღეში არ წამოქცდებოდათ ქვემო მოყვანილი სიტყვები. მომატებულ ნაწილად ეხლა სახალხო მასწავლებლად პედაგოგიურის სასწავლებლიდამ საქმისათვის მომზადებული ახალ-გაზდანი გამოდიან; ისეთნი, რომელთაც ყოველთვის აქვსთ სრული უფლება და თანაც მოსდევთ ისეთი კეთილი აზრები, რომლის შემწეობითაც მათ შეუძლიანთ იქონიონ ნათელი მსჯელობა არამც თუ თქვენს სახელმძღვანელოებზედ, არამედ თვით ბოკლისა, დარვინის, სპენსერისა, დსეპერისა და სხვა ამ გვარ მეცნიერთა თხზულებებზედ. „თუ მსხვილმა კაცებმა ამ წიგნებს ვერა დაკლეს-რა, რა უნდა დაუშაონ უსუსურმა ლილიპუტებმა“, გაიძახით თქვენ.. როდესაც უჭირდებათ ქვიანი კლდის განგრევა, მაშინ წამალს ჩაჰყრიან და ერთს წუთას ააფეთქებენ ხელმე; რა გაგხდომიათ ეგ თქვენი წიგნები, რომ ვერც ლილიპუტებს შეუძლიანთ მათი დარღვევა და ვერც მსხვილ კაცებს?

თქვენ ამბობთ: „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ ნამდვილი ნაკლულევანებების დასახელება შესაძლებელია მხოლოდ განვითარებული, გამოცდილი და პატიოსანი პირისათვის.“ რომ არ გეხათრებოდეთ, უეჭველად ამასაც დაუმატებდით: ჩემი წიგნების გამრჩევი უნდა იყოს აკადემიაში ნამყოფი, შუა ხნის კაცი, მსხვილი ტანისა, სასულიერო სემინარიაში ნამსახური, ქერა. რომ ამ უკანასკნელს ჩემს აზრს საფუძველი აქვს სჩანს ბ. ზოგებაშვილის შემდეგი სიტყვებიდამ: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს წიგნებს სხვა წიგნების გაჩენის გამო არამც თუ ფასი არ დაკლდებათ მასწავლებელთა და საზოგადოების თვალში, არამედ ბევრით მოემატებათ, რადგანაც შედარებით იგინი მოგებაში დარჩებიან.“ სწორედ შშინსკი, მოდოეოზოვი, პაულსონი და ძორფიც ერთიდ ერთ აზრისა არ არიან თავიათ სახელმძღვანელოებზედ? შბინსკის „Родное-слово“ მშობელია თქვენი „დედა-ენისა“ „Дѣтскій міръ“-ი „ბუნების კარისა.“ არ ყოფილიყვენ პირველნი, არ დაიბადებოდენ მეორენი. თქვენი სახელმძღვანელონი არიან მხოლოდ მიბაძვანი, თუმცა ამ ბაძვითაც კარგად ვერ არიან დაახლოვებულნი. თქვენ კი იძახით, რას ამბობთ, მე შშინსკისაც ვაჯობეო. უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ შშინსკი ისეთი რამ ბიჭი იყო, რომ თქვენთვის და ჩვენთვის მისადმი ჯობნა მხოლოდ სასაცილო ოცნება იქმნება.

დასამტკიცებლად იმისა, რომ „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ საუკეთესო სახელმძღვანელონი არიან, სხვათა შორის ბ. ზოგებაშვილი, იძახის— ჩემი წიგნები ნუხიდგან დაწყობილი ეოდოროს მდინარემდის გავრცელებულიაო. ჩვენ ამაზედ მხოლოდ რუსულის ანდაზით მიუგებთ: на безлюдьи и Ѳома дворянинъ. შემდეგ აგრძელებს—ჰკითხეთ მეგრელ ბავშვებს და მათგან მიიღებთ პასუხს, თუ რა საუცხოო რამ არიან ჩემი წიგნებიო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, იმავე ბავშვებს რომ ზიეიშვილის ლექსები ჩაუგდოთ ხელში, სადაც ერთი ლექსი სამს ენაზედ არის დაწერილი, აღტაცებაში მოვლენ, ასე რომ ბადალს ეელარ უპოვნიან.

მირიანაშვილს არ ესმის თავისი მოპირდაპირის ძალაო, ამბობს ბ. იაკობ სვიმონის-ძე ზოგებაშვილი. უნდა გამოგიტყდეთ და საქვეყნოდ ვაღიაროთ, რომ მართლაც აქამდის ბუნდად გვქონდა წარმოდგენილი თქვენი ძალა და ეხლა-კი პასუხის შემწეობით აგვეხილა თვალები და ნათლად ვსცანით, თუ რა ძალის პატრონიც ჰყოფილხართ; ნამეტნავად იმის შემდეგ, როდესაც დივინახეთ, რომ თქვენი აზრების დასამტკიცებლად შემდეგს საშუალებას ხმარობთ: „დედა-ენას“ „ბუნების კარს“ დანაცრებას ემუქრება და ისიც ვინა? ბ. მირიანაშვილი და ისიც სადა? „დროების“ ფურცლებზედ, რომლის მკითხველებს კარგად ეხსომებათ მისი უსუსური სტატია მასწავლებლის მნიშვნელობაზედ, სტატია რომლის დაბეჭდვა „იგვერიაში“ ყოვლად შეუძლებლად დაეინახეთ რედაქტორმა დ ჩვენა, რადგანაც იგი თავიდამ ბოლომდის იყო წმინდა ბავშური ტიტინი. ბავშური ტიტინი იყო თუ ბრძნული მსჯელობა, ჩვენ ამის განხილვას არ შეუდგებით: ეს წამკითხველისათვის მიმინდვია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ განგებ შეგყავთ საზოგადოება შეცდომაში. რედაქტორმა ჩემს სტატიის დაბეჭდვაზედ მე სრული თანხმობა გამომიცხადა (ის რედაქტორი დღესაც აქ არის). და რომ „იგვერიაში“ არ გამოვიდა—ეგ ისევ ჩემი ბრალია: რაკი გაეიგეთ, რომ ის სტატია თქვენს ხელში ჩავარდნილა, მხოლოდ ამ მიზეზით ალარ ვისურვეთ იმ სტატიის „იგვერიაში“ დაბეჭდვა მართალია თქვენ ის სტატია დაიწუნეთ, რადგანაც იგი თქვენს მაღალს გემოვნებაზედ არ იყო დაწერილი; და თუ „დროებაში“ დაეაბეჭდინეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენს შენიშვნას არავითარი მნიშვნელობა არ მიეცით ჯერ მისის უსაფუძვლობის გამო და მერე იმიტომ, რადგანაც, მე როგორც მაშინ, აგრეთვე ეხლაც მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ თვით სოლომონ ბრძენმაც საიქიოდამ კორრესპონდენცია გამოგზანოს, იმასაც კი არ ეღირსება „იგვერიის“ ფურცლები თუ როგორმე ისიც თქვენს ხელში ჩავარდა.

შემდეგ უფრო მშვენიერს რასმეს სწერს ბ. ზოგებაშვილი ბ. მირიანაშვილმა იქნება მოგვიგოს: აიო ბაბიჩვაძის დედანზედ გაველაშკრეთ და ნაცრად ვაქციეთო. ეს სასაცილო ოცნებაა, სხვა არა ფერი. ჯერ ერთი ესა, რომ ორი მესამედი მაინც ამ სტატიის შინაარსისა ბ. მირიანაშვილს სხვისაგანა ჰქონდა გაგონილი და მეორედ ისა, რომ ბ. ბაბიჩვაძის დედანის ნაცრად ქცევა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც იგი თვითონვე ნაცარი იყო, რომელსაც „შემადგენელიც ვერაფერში გამოიყენებდა“. ნეტავი ვიცოდეთ, ვინ არის ეგ მეცნიერი კაცი, რომლისაგანაც „ორი მესამედი“ იმ სტატიის შინაარსისა გაგეგონია? იქნება თქვენ, არა? როგორ არა სწითლდებით, როდესაც ამ სიტყვებს ამბობთ. საუბედუროდ, იმ დროს ჩვენ მოწმები არ დაგვსწრებიან, რომ საზოგადოებისათვის დაენახვებინათ, თუ ვინ ვის გაუგონა დედანის ნაკლულევანებზედ. მე თქვენ, თუ თქვენ მე. რად ჰკისრულობთ ამ გვარ დამცირებას? ნუ თუ ალარ გახსოვთ, რომ თქვენ, პირ-იქით, ბაბიჩვაძის ასოების სილამაზით გაოცებული იყავით? ნუ თუ ალარ გახსოვთ, რომ თუ ჩვენ არ შევსწრებოდით, თქვენს საკუთარს დედანში ბაბიჩვაძის ასოების მთლიანად შეტანას ეპირებდით? სხვა არა იყოს-რა, ჩვენა გვაქვს გათავებული პედაგოგიური სასწავლებელი, სადაც მუდამ ჩაგძახიან ყურში როგორც წერის, აგრეთვე ყველა საგნების მეთოდას, მათ შინაარს, მნიშვნელობას და მათზედ კრიტიკულს შეხედულებას. და ამიტომ შემდეგ ეს-კი არ არის საკვირველი, რომ ჩვენ ბაბიჩვაძის დედანში ნაკლულევანებანი ვიპოვეთ არამედ ის იქნებოდა საკვირველი, რომ არ გვეპოვა. მოიგონეთ თქვენი მომოვალი დედანი; მოიგონეთ მასში ჩვენი შრომა; მოიგონეთ, ბოლოს, ის დრო, როდესაც ჩვენს ნაწერებს დედანისათვის მომზადებულს ნიმუშად დაარბენინებდით აქა.იქ და, სხვათაშორის „დროების“ და „იგვერიის“ რედაქციებში; მოიგონეთ ყველა ჩვენი რჩევანი, რომლის წყალობითაც თქვენ მოახდინეთ საკუთარს დედანში ერთი ცვლილებანი; მოიგონეთ ახლა ეს უკანასკნელი თქვენი სიტყვები, ჩვენკენ მომართულნი და რასაც იგრძნობთ, ჩვენ იმის კმაყოფილი ვიქნებით. ეს ეკუთვნის, მაგალითებრ, სიტყვები: „თვით შემადგენელიც ვერაფერში გამოიყენებდა“, რომლებითაც ჩემი განკიცხვა გისურვებიათ? ნუ თუ იმასაც უარ ჰყოფთ, რომ ამ სიტყვების ავტორი მე ვარ? ღვთის მადლით, ამაზედ კი მოწმები მყვანან, რომელთაც შეუძლიანთ ფიცით აღვიარონ, რომ ეგ სიტყვები თქვენ არ გეკუთვნისთ.

ბ. იაკობ სვიმონის-ძე ზოგებაშვილი წრფელის გულით გვირჩევს ხმა ამოუღებლივ ვემსახუროთ ჩვენს საქმეს და ვემორჩილოთ ყოველ გვარს შეეწროებას. სწორე გითხრათ ამაზედ მეტი შეუწყარებელი, შეუთვისებელი და გასაოცარი რჩევა თქვენის მხრივ შეუძლებელია ჩვენთვის! თუ მე, თანამდებობით მასწავლებელმა, რომელსაც ყოველ დღე, წლიდამ-წლამდე მიჭირავს „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, არ ამოვიღე ხმა ამ თქვენს სახელმძღვანელოებზედ, მაშ სხვა ვისმე რა გული შესტკივა...

„... ფონს გასვლის გულისათვის (ჩვენი მოწინააღმდეგენი) ხმარობენ კაცხვასა და ლანძღვას, რომელიც არის იარაღი სუსტთა და თავისი თავის იმედის არა მქონე პირთა და რომლის მეოხებით ისინი საზოგადოების თვალში ისე დაბლა იმცირებენ თავსა“, ამბობს ბ. იაკობ სვიმონის-ძე ზოგებაშვილი. ბაუგონია ბატონს, რომ ამ გაცვეთილ, მაგრამ საფუძვლიან ფრაზას ხშირადა ხმარობენ ხოლმე და ის კი არ იცის თუ, ვის ეტყვიან და როდის. როგორ? განგებ ივიწყებთ ჩემი შენიშვნის შინაარსს, რომ ამ გვარი ლონის-ძიებით ფონს ადვილად გახვიდეთ, თუ მართლა ალარ გახსოვთ? რასაკვირველია, უფრო საფუძვლიანია პირველი აზრი, რადგანაც დიდი ხანი არ არის, რაც ჩემი მოკლე შენიშვნა დაიწერა და ამიტომ ვისაც კი წაუკითხავს, უეჭველად ეცოდინება, რომ ჩემს შენიშვნაში არავითარს ლანძღვა-გინების ადგილი არა აქვს. მაგრამ, აბა, ახლა ბ. იაკობ სვიმონი-ძე ზოგებაშვილის წერილს დააკვირდით თუ, რა სურათს წარმოადგენს? მთელი სტატია საზიზღარი ბავშური ლანძღვით არის გაჟენთილი. იმდონად თვალებ-

სა ხუჭავთ თქვენა, რომ გგონიათ საზოგადოებასაც თვალები დაუხუჭიაო. თქვენის აზრით ამ გვარი სიტყვები, როგორიც არიან: ბრიყვი, სულელი, უსირცხვი, უგუნური, უსუსური, ლილიპუტი, უპატიოსნო და სხვ.—ლანძღვა არ არის. ბანა შეიძლება-ღა მაგაზე მეტი შეურაცხყოფა მიეყენოს კაცს გაზეთით? თქვენს მოქმედებას, როგორცა სჩანს, ამ შემთხვევაში ისე არ დაჰკვირვებიხართ, რომ უეჭველად ცენზორს დაუფარავს ჩემი თავი, თორემ თუ იმის შიშით არა, თქვენ უსათუოდ თქვენ თავს ჩემს მშობლადაც გამოაცხადებდით. ამიტომ იცოდეთ, რომ ზემოდ მოყვანილი თქვენდამი ხმარებული ფრაზა ზედმიწევნით თქვენზედ ითქმის და თქვენ კი ჩემზედ ამბობთ.

„ჩვენ არც წინედ ნათქვამს დავსწერდით და აღარც სიტყვას გავაგრძელებდით, რომ ბ. მირიანაშვილს ეს აზრი გამოეთქვა: მთელს ჩვენ სიმდიდრეს ამ ქამად შეადგენს „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“. ძალიან კარგი იქნება, რომ სხვებიც გამოვიდენ ამ ასპარეზზედ, მხარი მისცენ ბოგებაშვილს და გაამდიდრონ ჩვენი საბავშო ლიტერატურა. ჩვენ ამ აზრის გამოთქმისათვის ძლიერ დაუმადლებდით და ერთგულს შემწეობას აღმოუჩენდით.“ ეს აზრი ბ. იაკობ სეიმონის-ძე ბოგებაშვილისა რომ მოკლედ ესთქვათ, გამოვა შემდეგი: ალ. მირიანაშვილს რომ ჩემი თავი ექო საზოგადოების წინაშე, უფრო კაი საქმეს იზამდა: მე მაშინ იმას ძლიერ დაუმადლებდი და ვაღვიარებდი მას არა ბავშვად და ბრიყვად, როგორადაც ეხლა, არამედ ბრძნად და გენიოსად.

ჰხედავთ, რა ჭეშმარიტება წარმოსთქვა ბ. ბოგებაშვილმა! ამას დამტკიცება არა სჭირს: ისეცა გეჯერა, რომ ეს უთუოდ ესე იქმნებოდა.

ალ. მირიანაშვილი.

განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცნობებს ბ.ბ. ბანკის წევრთა, რომ, ბანკის წესდების მე 79 §-ის ძალით, 27 ამ აპრილს, დილით 11 საათზე, ამ ბანკის სადგომზე მოხდება ხსენებულთ წევრთა მოულოდნელი საზოგადო კრება დასანიშნავად მიუცილებელის საზოგადო საჭიროებისათვის ფულისა ბანკის იმ თანხიდან, რომელიც მაგეთის საჭიროებისათვის დანიშნულია.

ახალი წიგნი:
მოგაკვდავნი სურათნი

ქომედ. IV მოქმ. თ-დის ბ. შარეაშიძისა. ისყიდება ტფილისს—ჩარკვიანის წიგ. მაღაზიაში და ქუთაისს ჭილაძისაში.

ფასი თითო წიგნისა 5 შაური.

(3—1)

ახალი

წიგნის მაღაზია

არწრუნის კალერეია № 149, 150 ბ. ჯაბადარის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანელ და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველ-გვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—24)

საგლეზუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აგარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ოგვლის „სელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, ფესადი, კალმები, ბუმაგნიკები, შორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ფარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ბატარა სალები იატაკისათვის კლიონკები, ტასტები, საკარძლები, სარკეები, საკარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები, რულეტკები, ვატერფასები, ზმის-საათები, კომფასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ბომბი, ქამრები, სარტყლები, საყელური, ბრობკები, საბრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის, ტანისამოსის, ცხენის და ბატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმიო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

ბატაუკი—20 კ. (100—1)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოძუვა

ნიმაკმასტერი

ამაგრებს ომას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—62)

აქვე ისყიდება ქინის ბომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საბონი, დუხები და სხვ.

ისყიდება

რადგან გსმობთ გაჭრობას, ერთობ იაფ ფასად, ესე იგი უფრო იაფად, ვინემ ნასყიდია: ოქრო-ვერცხლის და ბრილიანტის ნივთები, საათები თუ სხვა-და-სხვა...

სასახლის ქუჩა—ზუბალოვის სახლი.

(6—4) ბ. ნ. ლაქსინი.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა ამით აცნობებს ბ-თ ამა ბანკის დამფუძნებელთ და მსესხებელთა, რომ 1 მაისს ამა 1883 წლისა არწრუნის სასლებში სასასლის ქუჩაზე დანიშნულია საზოგადო კრება წევრთა, რომელთაც წარედგინებათ განსასიდველად და დასამტკიცებლად:

ა) დადგინება ზედამხედველის კომიტეტისა ბანკის მოქმედების შესახებ 1882 წელს.

ბ) მოხსენება საგუბერნიო კრების ბრიტოკოლისა, შესახებ ბანკის დამფუძნებელ წევრად ჩაწერისა.

გ) მოხსენება ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდების მე-14 და 35 მუხლთა შეცვლისა და შევსების თაობაზედ.

დ) მოხსენება შესახებ შეცვლისა და შევსებისა წესდებათა, დადგენილთა დაგირავებულ მამულების ვაჭრობის თაობაზედ—თანაბრად უმაღლესად დამტკიცებულის აზრისა სახელმწიფო რჩევისაგან. (კრება წესდ. 1882 წ. ივლისის 30 დღეს № 70)

ე) მოხსენება საზოგადო სარგებლობათა შესახებ, რაზედაც უნდა მოხმარდეს დარჩომილი საერთო სარგებლისაგან საანგარიშო წლის—19,348 მან. და 97 კაპ.

ვ) მოხსენება შესახებ შევსებისა ბანკის საზოგადო კრების დადგინებაზედ, თუ რა რიგად ადმორჩეულ უნდა იქმნენ დამფასებელის კომიტეტის წევრნი.

ზ) განსიდვა 1882 წლის ბანკის სარჯისა.

ჱ) ადმორჩევა ზედამხედველის კომიტეტის სამის წევრისა, ნაცვლად ადრინდელთა: ჯ. ხ. მაძაცაშვილისა, ავად-მყოფობის გამო, თავ. ივსე ანდრონიკაშვილისა და გრიგოლ გაბაშვილისა, რომელიც წავიდა ტფილისიდამ.

თ) ადმორჩევა გამგეობის ერთის წევრისა თავ. დავით ავალიშვილის მაგიერ, რომელიც რიგისა-მებრ სტოებს ამ თანამდებობას; ორ წევრთა დამფასებელის კომისიისა თავ. ი. გ. მაჩაბლისა და ა. ნ. ფურცელაძის მაგიერ, რომელთაგან ერთ-ერთი წილის-ყრით უნდა გამოვიდეს სამსახურიდამ და ადმორჩევა ამათის კანდიდატისა.

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ციკლ“

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—20)

ინგლისური რკინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დასაჩანგალი, კოვზები, თვალნასები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უსაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის სარისხისა.

(100—50)

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

№ 1

ჩახრუხაძე

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

ტაძცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ბუქნებში და დატარებით 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½	
მეორის „	—1 გირ.	3½	
მესამის „	—1 გირ.	—	

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½	
მეორის „	—1 გირ.	4 კ.	

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1 გირ.	5½	
მეორის „ „	—1 გირ.	4½	
მესამის „ „	—1 გირ.	4 კ.	

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	11 კ.	
მეორის „	—1 გირ.	9 კ.	
სუკი — —	—1 გირ.	17 კ.	
ცხვრის ხორცი	1 გირ.	11 კ.	

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	—	
მეორის „	—1 გირ.	—	

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Апрѣля 1883 г. Типографія Мликова

გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.